ბიზნესის განწყობის ინდექსი

შენელებულ მოლოდინების ინდექსს მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი წამოეწია

კვარტალი 4 - 2016

კვლევაში მონაწილე კომპანიები

დიდი	მცირე და საშუალო
71	137

-7.4

შემცირება

კვლევის ძირითადი შედეგები



• ბიზნესის განწყობის ინდექსი (*) საქართველოში 7.4 ერთეულით შემცირდა (2016 წლის მესამე კვარტალთან შედარებით). მიუხედავად ამისა 17.6 პროცენტული პუნქტით იგი შედარებით მაღალია 2015 წლის მეოთხე კვარტალზე (12.0). მეოთხე კვარტალში ინდექსის შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო ბიზნესის მოლოდინების ინდექსის მნიშვნელოვანი შემცირებით.

• გამოკითხული ბიზნესმენების 44% მიიჩნევს რომ გასული სამი თვის განმავლობაში მათი ბიზნესის მდგომარეობა არ შეცვლილა, რამაც გამოიწვია მიმდინარე მდგომარეობის ინდექსის მხოლოდ მცირედით ზრდა 30.8 პროცენტულ პუნქტამდე (0.4 პროცენტული პუნქტით ზრდა მესამე კვარტალთან შედარებით). ყველაზე დიდი ზრდა მიმდინარე მდგომარეობის ინდექსში დამამუშავებელი მრეწველობის სექტორმა აჩვენა.

• ბიზნესის ოპტიმიზმი დაეცა 12.2 პროცენტული პუნქტით 2016 წლის მესამე კვარტალთან შედარებით, მაგრამ შეინარჩუნა მაღალი დონე 2015 წლის მეოთხე კვარტალთან (16.2 პროცენტული პუნქტი) მიმართებაში. გამოკითხული ბიზნესების უმეტესობა ელოდება საკუთარი ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესებას და გამოკითხულთა მხოლოდ 18% ელოდება მდგომარეობის გაუარესებას ეკონომიკურ საქმიანობაში. შემოდგომის სეზონის მიწურულს ყველაზე დიდი ვარდნა მოლოდინებში განიცადა საცალო ვაჭრობის სექტორმა.

• გასაყიდი ფასების მოლოდინის ინდექსი გაიზარდა 2.3 პროცენტული პუნქტით 2016 წლის მესამე კვარტალთან შედარებით და იგივე ინდექსი სამშენებლო სექტორში უარყოფით მაჩვენებელზე დავიდა.

• ზოგადად, ბიზნესის მოლოდინებისა და მიმდინარე მდგომარეების ინდექსების დინამიკა მსგავსია, თუმცა 2016 წლის ბოლო ორი კვარტალის მონაცემების მიხედვით, მიმდინარე მდგომარეობის ინდექსმა დაიწყო ზრდა და მოლოდინების ინდექსმა შემცირება. მიუხედავად პესიმისტური მოლოდინებისა მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი სამი კვარტალის განმავლობაში იზრდებოდა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მოლოდინების კლებადი ტრენდი წარმოადგენს ბიზნესების პირად უარყოფით დამოკიდებულებას მომავალზე და არა ქართული ეკონომიკის საგანგაშო მდგომარეობას.

• აღნიშნულიდან გამომდინარე, მოლოდინების ინდექსის კლება ბოლო ორი კვარტალის განმავლობაში (II კვ/16 - დან მოყოლებული), არ ქმნის განსაკუთრებულ უიმედოობის საფუძველს.

(*) 2016 წლის მეოთხე კვარტალში ბიზნესის განწყობის ინდექსი დაფიქსირდა 17,6 ერთეულზე [-100; +100] შკალის მიხედვით. ინდექსის დადებითი რიცხვი მიუთითებს რომ ბიზნესების განწობა არის 17,6 პროცენტული პუნქტით უფრო დადებითი ვიდრე უარყოფითი ან ნეიტრალური. განყობის ინდექსის 100 ერთეულის დაფიქსირების შემთხვევაში კვლევაში მონაწილე ყველა ფირმას ექნებოდა დადებითი განწყობა. განწყობის ინდექსის 0 ერთეულის დაფიქსირების შემთხვევაში დადებითად და უარყოფითად/ნეიტრალურად განწობილთა რაოდენობა თანაბარი იქნებოდა გამოკითხულ ბიზნესებში მიმდინარე მდგომარეობასთან დაკავშირებით (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მეთოდოლოგიური შენიშვნები).

ISET MA Program in Economics Policy Institute
International School of Economics at Tbilisi State University
BUSINESS CATALOGUE Business Information Provider
GEORGIA INTERNATIONAL CHAMBER OF COMMERCE